

დამტკიცებულია

დანართი

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორის 2019 წლის 19 02

№ 244/ბრძანებით



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში ღია კონკურსის დროს  
„აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები“

თავი I. აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები

მუხლი 1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში-სასწავლო უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის საკონკურსო შერჩევისას გამოიყენება შემდეგი შეფასების კრიტერიუმები:

1.1. სამეცნიერო ნაშრომები (თანაავტორობით შესრულებული ნაშრომის შემთხვევაში ქულები იყოფა თანაავტორთა რაოდენობაზე):

- ა) სახელმძღვანელო - 20 ქულა;
- ბ) მონოგრაფია - 15 ქულა;
- გ) სამეცნიერო კრებული - 10 ქულა
- დ) გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა - 10 ქულა;
- ე) სასწავლო საცნობარო ლიტერატურა - 6 ქულა;
- ვ) იმპაქტ - ფაქტორის მქონე ან რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია - 8 ქულა; სტატია სხვადასხვა გამოცემებში - 3 ქულა;
- ზ) სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის, სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა - 5 ქულა;
- თ) სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, სამეცნიერო კრებულის/რეცენზირება - 3 ქულა ;
- ი) სამეცნიერო ჟურნალის, შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობა - 3 ქულა, წევრობა - 2 ქულა;

კ) ლექსიკონი - 10 ქულა

1.2 სამეცნიერო მოხსენებები:

- ა) საერთაშორისო კონფერენციაზე, კონგრესზე და ა.შ. სამეცნიერო მოხსენება - 7 ქულა;
- ბ) ადგილობრივ კონფერენციაზე, კონგრესზე და ა.შ. სამეცნიერო მოხსენება - 4 ქულა;

1.3 სამეცნიერო გრანტები:

- ა) დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა - 10 ქულა; მენეჯერობა - 6 ქულა, მონაწილეობა - 5 ქულა;
- ბ) დაუფინანსებელი გრანტის (80 ქულა და მეტი შეფასებით) ხელმძღვანელობა - 4 ქულა, მონაწილეობა - 2 ქულა;

1.4 ახალგაზრდა მეცნიერების მომზადება/ხელმძღვანელობა;

- ა) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობა - 7 ქულა;



ბ) დოქტორის მომზადება, - მინიმუმ 6 ქულა, მაქსიმუმ 12 ქულა; დოქტორანტის ხელმძღვანელობა - მინიმუმ 3 ქულა, მაქსიმუმ - 6 ქულა;

გ) დისერტაციის ოპონირება - მინიმუმ 3 ქულა, მაქსიმუმ 6 ქულა;

დ) პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ან/და ნაშრომის ხელმძღვანელობა მინიმუმ - 5 ქულა, მაქსიმუმ 7 ქულა;

ე) სამაგისტრო თემის ხელმძღვანელობა - მინიმუმ 6 ქულა, მაქსიმუმ 9 ქულა;

**1.5 თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება-განვითარება:**

ა) ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა - 8 ქულა;

ბ) კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა - 6 ქულა;

გ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგების გავლა - მინიმუმ- 3 ქულა, მაქსიმალური - 6 ქულა;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება (კურიკულუმის კომიტეტების წევრობა) - 3 ქულა;

ე) პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები - 0-15 ქულა (ფასდება გასაუბრებითა ან/ და სილაბუსების განხილვით);

ვ) სალექციო კურსის (მოდულის) ხელმძღვანელობა - მინიმუმ - 4 ქულა, მაქსიმუმ - 8 ქულა;

**1.6 პატენტი (საავტორო მოწმობა):**

ა) უცხოური პატენტი (საავტორო მოწმობა) - მინიმუმ - 5 ქულა, მაქსიმუმ- 10 ქულა;

ბ) ადგილობრივი პატენტი (საავტორო მოწმობა) - მინიმუმ- 4 ქულა, მაქსიმუმ - 8 ქულა;

**1.7 სამეცნიერო სტიპენდია, პრემია:**

ა) საერთაშორისო სამეცნიერო სტიპენდია - მინიმუმ - 8 ქულა, მაქსიმუმ - 16 ქულა;

ბ) ადგილობრივი სამეცნიერო სტიპენდია - მინიმუმ - 4 ქულა, მაქსიმუმ - 8 ქულა;

გ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობა - 20 ქულა;

დ) დარგობრივი სამეცნიერო აკადემიების წევრობა - 5 ქულა;

ე) სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო ჯილდო - 5 ქულა;

**1.8. სამეცნიერო კონგრესის, კონფერენციის სიმპოზიუმის ორგანიზება**

ა) სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის ორგანიზება - 5 ქულა;

**1.9. სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის სხდომის თავმჯდომარეობა**

ა) სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის თავმჯდომარეობა - 4 ქულა.

**1.10. პედაგოგიური გამოცდილება:**

ა) 0—1 წლამდე - 1 ქულა;

ბ) 1-3 წლამდე - 3 ქულა;

გ) 3-5 წლამდე - 5 ქულა;

დ) 5-დან ზევით - 10 ქულა.

**1.11 პროფესიული გამოცდილება (საკონკურსო მოთხოვნის შესაბამისად):**

ა) 0-2 წლამდე - 1 ქულა;

ბ) 2-4 წლამდე - 3 ქულა;

გ) 4-6 წლამდე - 5 ქულა;

დ) 6-დან ზევით - 10 ქულა.